საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

**MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND
INFRASTRUCTURE OF GEORGIA**

895-01-2-202305041547

N 01/895
04/05/2023

საქართველოს მოქალაქე მირანდა თეთრაძეს
[redacted]

ქალბატონო მირანდა,

თქვენი 2023 წლის 11 აპრილის წერილის (სამინისტროში რეგისტრაციის №1787/01; 11.04.2023) პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ მითითებულ პერიოდში, სამინისტროდან გათავისუფლებულ თანამშრომლებთან დაკავშირებით წარმოებული სასამართლო საქმეებიდან 4 შემთხვევაში დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა მოთხოვნები. აღნიშნული საქმეებიდან, 3 შემთხვევაში მოსარჩელეთა გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენდა საჯარო დაწესებულების რეორგანიზაცია, ხოლო 1 შემთხვევაში - საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი.

ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ მოსარჩელეთა შესახებ პერსონალური მონაცემები.

პატივისცემით,

დავით მეტრეველი

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტი